საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного народных депутатов

№41 (6267) ხუთშაბათი 5 აპრილი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

ეს დღეები სოფლად

ყოველი დღე — ნაყოფიერი

ალპანის კოლმეურნეობაში შეუდგნენ შრომას წლის მოსავლისათვის.

ტრაქტორები ხვნა-თესვისათვის ადრიანად მოამზადეს მექანიზატორებმა ტარიელ ჯანაძემ და გურგენ ცხვედიანმა, რომელთა მიერ მოხნულ 80 ჰექტარ მიწას უნდა მიებაროს სამარცვლე სიმინდის თესლი, ხოლო სასილოსედ 20 ჰექტარი აქვთ მოსამზადებელი.

კოლმეურნეობაში არსებულ 18 ჰექტარ ზვარში სხვლა დასასრულს უახლოვდება. მოწინავე მევენახეებმა ნოდარ, ბუჯუ ხუციძეებმა, ნოდარ, ჯოჯო ალავიძეებმა, შუშანა, ოთარ ხეცურიანებმა, კუკური ხვადაგიანმა, მარგალიტა, დადაში ჯანაძეებმა, რუბენ ფრუიძემ და სხვებმა იჯარით აღებულ ფართობებში უკვე დაამთავრეს სხვლა, აშენება-დაკავება და ახლა რიგთაშორისებს ამუშავებენ.

ბ. ბაქრაძე.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმი

3 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმი დღის წესრიგით:

1. სკკპ 27-ე ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმის დადგენილებათა შესაბამისად რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის პარტიული ხელმძღვანელობის მიზნით გაწეული მუშაობისა და მისი შემდგომი ამოცანების შესახებ.

2. ინფორმაცია რაიონის პარტიული ორგანიზაციის 38-ე კონფერენციაზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და საქმიანი წინადადებების შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

3. საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის 39-ე პარტიული კონფერენციის, წინასაკონფერენციო კამპანიის ჩატარების, წარმომადგენლობის ნორმისა და დელეგატთა არჩევის წესის შესახებ.

4. ორგანიზაციული საკითხი.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი ე. კ. გუგავა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს სახბანკის ცაგერის რაიონული განყოფილების მმართველმა ბ. ჭაბუკიანმა, სასურსათო კომბინატის დირექტორმა უ. კუხალაშვილმა, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ბრეგვაძემ, საქართველოს ალკკ ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. კვირკაშვილმა, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ კ. ფრუიძემ, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარემ მ. ყურაშვილმა, რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის“ რედაქტორმა ნ. ნემსაძემ, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ო. ნემსწვერიძემ.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე—რაიონის პარტიული ორგანიზაციის 38-ე კონფერენციაზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და საქმიანი წინადადებების შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია არ წაკითხულა. იგი წინასწარ დაურიგდათ რაიკომის წევრებს გასაცნობად. პლენუმმა ინფორმაცია მიიღო ცნობად.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე—საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის 39-ე პარტიული კონფერენციის, წინასაკონფერენციო კამპანიის ჩატარების, წარმომადგენლობის ნორმებისა და დელეგატთა არჩევის წესის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. კ. გუგავამ.

1. პლენუმმა დაადგინა მოწვეულ იქნას საქართველოს კპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციის 39-ე კონფერენცია 1990 წლის 27 აპრილს.

2. დამტკიცდა კონფერენციის დღის წესრიგი:

ა. რესპუბლიკაში (რაიონში) შექმნილი პოლიტიკური ვითარება და ამ მიმართებით რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

ბ. საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობის დელეგატების არჩევნები.

3. დაწესდა საქართველოს კპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციის 39-ე კონფერენციაზე წარმომადგენელთა ნორმა, ერთი დელეგატი პარტიის 8 წევრისაგან.

4. მიღებულ იქნა პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროსა და რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთობლივი წინადადება იმის შესახებ, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებები პარტიულ ჯგუფებში, საბრიგადო (საუბნო) და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მოეწყოს საქართველოს კპ 28-ე ყრილობის შემდგომ პერიოდში (წლის მეორე ნახევარში) და განხილულ იქნას ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები).

5. 1990 წლის 10-25 აპრილს რაიონის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ჩატარდეს პარტიული კრებები, სადაც განხილული იქნება:

ა. რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და ამ მიმართებით პირველადი პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

ბ. საქართველოს კპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციის 39-ე კონფერენციის დელეგატთა არჩევნები.

გ. საქართველოს კპ 28-ე ყრილობის დელეგატთა არჩევნები.

ამ საკითხების განხილვის დროს მათვე შეიმუშაონ კომუნისტთა კონსოლიდაციის, პარტიული მუშაობისადმი ახლებური მიდგომის, პარტორგანიზაციების ქმედითუნარიანობის ამაღლების წინადადებანი.

კრებებზე განსაკუთრებული ყურადღება მიეპყროს სკკპ და საქართველოს კომპარტიის წესდების პროექტების განხილვას, გამოიკვეთოს კომუნისტების აზრი საქართველოს კომპარტიის სტატუსის თაობაზე.

6. კრებების მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ რაიკომის წევრებმა, წევრობის კანდიდატებმა, რაიონის პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის წევრებმა, პარტიის რაიონული კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელმა მუშაკებმა. ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციული ღონისძიება დაამუშაოს პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებამ.

7. პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმმა მიზანშეწონილად მიიჩნია რაიონის პარტიული ორგანიზაციის 39-ე კონფერენციაზე მოხდეს ცვლილებები როგორც რაიონული კომიტეტის, ასევე ბიუროს შემადგენლობაში.

8. რაიონულმა გაზეთმა სისტემატურად გააშუქოს პარტიული კრებების მიმდინარეობა და წინასაკონფერენციო სამზადისი, დელეგატებად არჩეულ კომუნისტთა პირადი და საქმიანი თვისებები, მათი პოზიცია პარტიული მუშაობის შემდგომი გარდაქმნის, ქვეყნის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს კომპარტიის როლისა და ადგილის განსაზღვრის საკითხებთან დაკავშირებით.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

იმის გამო, რომ რაიონის სახალხო მოსამართლემ მ. გ. სტურუამ სკკპ რიგებიდან გასვლის თაობაზე განცხადებით მიმართა პარტიის რაიონულ კომიტეტს, გამოყვანილ იქნა პარტიის რაიონული კომიტეტის შემადგენლობიდან.

იმის გამო, რომ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ რ. რ. კოპალიანმა სკკპ რიგებიდან გასვლის თაობაზე განცხადებით მიმართა პარტიის რაიონულ კომიტეტს, გამოყვანილ იქნა პარტიის რაიონული კომიტეტის და პარტიის რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან.

ჩვენი სოფლის ადამიანები

იჯარაშია ოჯახი

ვიდრე მეცხოველეობაში საიჯარო შრომა დაინერგებოდა, პირუტყვის სიმრავლე მანამდეც იყო ჩქუმელი შოთა სვანიძის ოჯახურ მეურნეობაში. მესაქონლეობას მისდევდა სვანიძეების ოჯახი და ამ დარგის ავიც კარგად ესმით და კარგიც. შოთა სვანიძეს კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში შრომის დიდი გამოცდილება ჰქონდა, თუმცა ამ შრომაში გამოწრთობილ, შუა ხანს გადაცილებულ კაცს არც მიწათმოქმედება ეშლება, ვაზისა და სიმინდის ყანის მოვლას ვერავინ ასწავლის.

როცა წიფერჩის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა იჯარით გადაეცა, მიშა სვანიძემ თავის ოჯახური მეურნეობაში მოსავლელად 8 სული მოზარდი გაიყვანა, კოლმეურნეობასთან კი ხელშეკრულება გააფორმა ყოველწლიურად საკარმიდამოდან განსაზღვრული რაოდენობის ხორცისა და ყველის ჩაბარებაზე.

ნამდვილი მშრომელი, ალღოიანი მუშაკაცია და, ბუნებრივია, კარგად ერკვევა, ესმის დღევანდელი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, ისიც კარგად იცის, რომ საქართველოს თავისუფლება, მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე არ იქნება, ამიტომ მისი შრომა-საქმიანობა ეკონომიკას უკავშირდება, გასული წლის ბოლოს სამშობლოს 800 კილოგრამი ხორცი ჩააბარა, წელს კი ორჯერ მეტის ჩაბარება აქვს გადაწყვეტილი. შოთა სვანიძეს თავის საკუთარი მუშა გამწევი ძალა ჰყავს, ამიტომ არც იმ ფართობის დახვნა-დამუშავებაში მისჩერებია სხვას, კოლმეურნეობისაგან იჯარით რომ აქვს ჩაბარებული. თვითონვე საკუთარი ხარებით დახნავს, მიწას კარმიდამოდან გატანილი ორგანული სასუქით გაანოყიერებს.

ამ მშრომელ ოჯახში 6 შვილი აღიზარდა, ექვსივეს თავისი საკუთარი ოჯახი აქვს, მიშა და მისი მეულლე ხარობენ შვილებით და შვილიშვილებით.

ბარაქამ იმრავლოს სვანიძეების ოჯახში.

ჯ. მანდარია.

არის ზეგეგმითი რძე

წლის დასაწყისში კარგი სტარტი აიღეს წიფერჩის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა—100 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს 125 ცენტნერი რძე მიჰყიდეს და გეგმა 125 პროცენტით შეასრულეს.

რა გიჭირს სოფლის მასწავლებელო?

დააარწიეთ მართვენი

* * *

ჩემი მოსწავლეობის პერიოდი გამახსენდა... როგორი მოუთმენლობით, გაფართოებული თვალებით მივჩერებოდით საკლასო ოთახის კარს—ნეტავ ვინ შემოვა? ჩვენთვის სულერთი არ იყო, ვინ შემოაღებდა კარს, ახალგაზრდა თუ... ამას ნუ გვიწყენენ ჩვენი პენსიონერი მასწავლებლები. ბავშვებს ახალგაზრდა უფრო მოსწონთ!

—ახალგაზრდა მასწავლებელს დიდი დახმარება სჭირდება, პირობები უნდა შეუქმნა, განწყობა უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მაღალპროფესიულობას ვერ მოსთხოვ. რაგინდ პატრიოტულიც უნდა იყოს ჩვენი მოწოდება, იგი დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, —ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი განათლების განყოფილების გამგემ დავით კოპალიანმა.

ცაგერის რაიონში ორი წლის განმავლობაში 18 ახალგაზრდა მასწავლებელი მოვიდა. მათგან 4 სხვა რაიონის მკვიდრია.

ლეჩხუმი მთიანი რეგიონია. მიტოვებული გვაქვს მრავალი სოფელი. ელემენტარული პირობების უქონლობა ადგილობრივ მკვიდრსაც კი აფრთხობს, არათუ მოსულ მასწავლებელს,—განაგრძობს საუბარს ბატონი დავითი—ჩვენ, მართალია, ჩვენეული სტუმართმოყვარეობით ვხვდებით მოსულს, მაგრამ დიდი-დიდი 2 წელი გაძლოს აქ. ამიტომ ადგილობრივ კადრებზე უფრო ვამახვილებთ ყურადღებას.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ხელშეწყობა მათაც ხომ სჭირდებათ?

განათლების განყოფილების გამგემ კი ასე ჩამოგვითვალა ის პირობები, რომელშიც მუშაობა უხდებათ სოფლის მასწავლებლებს.—ტრანსპორტი ზამთარ-ზაფხულ ყოველთვის ჭირს. ზამთრობით ელექტროენერგია ხშირად არა აქვთ არა თუ სოფლებში, რაიონულ ცენტრშიც კი, ამიტომ ცენტრალური გათბობის იმედზე ვერ ვრჩებით. ღუმელი და შეშა ჩვენთვის აუცილებელია. რა თქმა უნდა, ბევრ სოფელში რადიოსა და ტელეფონის მუშაობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. დაბალია კომუნალური მომსახურების დონე. მასწავლებელთა საწვავით უზრუნველყოფა დღემდე არაა გადაწყვეტილი. კვების პროდუქტებითაც არ მარაგდებიან, ყველაფერი ბაზრის ფასებში უნდა იყიდონ.

ეს ჩამონათვალი, ვფიქრობთ, კომენტარს აღარ საჭიროებს.

კადრების ნაკლებობაზე როცა ვლაპარაკობთ, მისაღები გამოცდების არაობიექტურობაზე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვაო, —გვითხრა ბატონმა დავითმა. რაიონს ძალზე უჭირს რუსული ენის, უცხო ენისა და ფიზიკური კულტურის სპეციალისტები. ადვილი წარმოსადგენია, რომ ჩვენი სკოლადამთავრებული ისე ვერ ფლობს ამ ენებს, როგორც ქალაქის სკოლადამთავრებული. მოგვცენ იმის საშუალება, რომ ჩვენთვის გამოყოფილ ადგილზე გაგზავნილი 4-5 აბიტურიენტიდან ერთი მაინც ჩაგვირიცხონ, მაშინ ჩვენი კადრი გვეყოლება, აღარ ვიქნებით სხვისი მოიმედეებიო.

სპეციალისტების უყოლობის გამო მოვიწვიეთ არასპეციალისტები და საშუალოსკოლადამთავრებულები. მოვაწყვეთ მათთან გასაუბრება და გავგზავნეთ სკოლებში, გაკვეთილები რომ არ ჩაშლილიყო.

ფიზკულტურის ინსტიტუტი ჩვენთვის ყოვლად ხელმიუწვდომელია, საჭიროა ასეთი ინსტიტუტი დასავლეთ საქართველოშიც გაიხსნას. ამის შესახებ მე პირადად მრავალჯერ დავაყენე საკითხი განათლების სამინისტროში, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა.

დაბალია რაიონის სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თითქმის ყველა დაწყებითი სკოლა ახალ შენობას საჭიროებს. „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“, ისე ხომ არ გვემართება? რაიონში ბავშვთა კონტიგენტის ძლიერი სიმცირეა. მთელ რიგ კლასებში 2 ან 3 მოსწავლეა! თუ ბავშვები აღარ გვეყოლა, სკოლები ვისთვის გვინდა? ბევრ სოფელში ხომ ბავშვების ურიამულით სავსე სკოლების ნაცვლად დაობლებული, გაცივებული შენობების კედლებიღა დაგვრჩა.

დროა, ყველა ღონე ვიხმაროთ სოფლად მიგრაციის შესაჩერებლად, ლეჩხუმელი ახალგაზრდა ლეჩხუმში უნდა დამკვიდრდეს.

ასე ფიქრობს განათლების განყოფილების გამგე.

ახალგაზრდა მასწავლებლებს—დავით ცვარიანს, ნინო შკუბულიანს, გიორგი ლობჟანიძესა და მურთაზ ლარცულიანს სკოლაში შევხვდი.

დავითმა თბილისის სულხანსაბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. მეორე წელია, რაც რაიონს დაუბრუნდა. ჯერ ბარდნალის საშუალო სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. აქაურ პრობლემა მოუგვარებელია.

ნინო შკუბულიანმა გასულ წელს დაამთავრა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი და მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა. იგი დაწყებითი განათლების პედაგოგია.

ჩემთვის ამაზე მეტი საყვარელი საქმე არ არსებობსო, აღტაცებით მეუბნება ნინო. პატარებთან მუშაობა ხომ განსაკუთრებით საინტერესოა. მათ ახლა ეხილებათ თვალები, ახლა ეცნობიან სამყაროსა და ყველაფერი შენზეა დამოკიდებული—როგორ აუხელ თვალებს, როგორ შეამეცნებ სამყაროს.

მურთაზ ლარცულიანმა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა, კვალიფიკაციით პედაგოგია. არასპეციალობით მუშაობდა. 1989 წლის ოქტომბრიდან ცაგერის საშუალო სკოლაში ასწავლის ფიზიკას. ახალგაზრდა სპეციალისტი უბრუნდება მშობლიურ რაიონს. ეს კეთილშობილური საქმეა და ამას ყველა პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოსო, —გვითხრა მურთაზმა. მასწავლებელთა კოლექტივი უნდა დაეხმაროს ახალმოსულს ყველა წინაღობის გადალახვაში...

ახალგაზრდები ერთი კარგი საქმის გაკეთებას აპირებენ ახლა—ახალგაზრდა მასწავლებელთა ასოციაცია უნდა შექმნან. ეს იდეა ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორს მანანა გორგასლიძეს ეკუთვნის. ჯერ თითოეულმა თავისი სამუშაო გეგმა უნდა წარმოადგინოს, მერე მუშაობის ფორმებსაც გამონახავენ.

ცაგერის საშუალო სკოლაში ბევრი სიახლეა. პიონერული რაზმეულების ნაცვლად შეიქმნა ბავშვთა საზოგადოება „მამული, ენა, სარწმუნოება“. სამხედრო სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. ფუნქციონირებს საქართველოს ისტორიის შემსწავლელთა წრე, რომელსაც ახალგაზრდა მასწავლებელი ლარისა ახვლედიანი ხელმძღვანელობს.

ახალგაზრდები არიან და საფიქრალ-საოცნებოს რა გამოელევთ. დათო ახალგაზრდულ სკოლაზე ოცნებობს, სადაც დირექტორიც და ყველა მასწავლებელიც ახალგაზრდები იქნებიან. ყველაზე მეტად უმიზნოდ გატარებული თავისუფალი დრო გვაწუხებსო—გადმომცეს თავიანთი გულისთქმა. თუმცა რაიონში შეხვედრებით არც სტუდენტობის დროს ვიყავით განებივრებულნიო.

დაახლოებით 8 წლის წინათ კარგი ტრადიცია არსებობდა—ლეჩხუმელ სტუდენტებთან შეხვედრები ეწყობოდა არა მარტო რაიონში, არამედ თბილისშიც. რიყეზე არსებულ ლეჩხუმელთა სახლში. მერე კი დიდი ხანია დაივიწყეს ეს კარგი ტრადიცია. საკითხავია რატომ? ბულიტ კივილით ძეუბსება დათო. ნინო ისიც დაუმატა, რომ ლეჩხუმელთა სახლს იმ წელს, როცა აქ შეხვედრა გაიმართა, „ერთგულება“ ვუწოდეთო, ახლა კი ამ შენობაში კაფე-ბარია გახსნილი (?!), სახლმა სახელი ვერ გაამართლა, ვერ უერთგულა ლეჩხუმელ ახალგაზრდებს.

ბევრი არაფერი შეცვლილაო, —მეუბნებიან ახალგაზრდები და ვგრძნობ, როგორ განიცდიან სულის საზრდოს ნაკლებობას.

* * *

—როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი განუკითხაობა,—აღშფოთებული მეუბნება დათო.—მეგობარი გავაცილე. დილის 10 საათიდან საღამომდე ჭუთაისის ავტოსადგურში ვიდექი და რაიონში არც ერთი ავტობუსი არ გასულა. კი, ბატონო, მესმის, ბენზინის დეფიციტია, მაგრამ სენაკში, მაიაკოვსკში, მარტვილში თუ მოძრაობს ავტობუსი, ჩვენ ხალხი არა ვართ, ერთხელ მაინც რომ გავიდეს დღეში?

სამართლიანია დათოს გულისწყრომა. არაფერს ვიტყოდით, ეს ერთი და ორი შემთხვევა რომ იყოს. ასეთი ფაქტი, საუბედუროდ, ხშირად ხდება. მე ვფიქრობ, აქ ბენზინის დეფიციტი არაფერ შუაშია. უფრო მეტად პასუხისმგებლობის დეფიციტია და იმიტომაა ასეთი განუკითხაობა. იმას ვიღას დავაბრალებთ, რომ ყოველ ზამთარს მოუმზადებლები ვხვდებით, თოვლი მოვა (როდის აღარ მოდის ლეჩხუმში თოვლი?) და ჭუჩაში ვიღარ გამოხვალ კაცი. რა ქნას მაშინ სოფელმა და სკოლამ, მასწავლებელმა და მოსწავლემ? სწორედ უგზოობის გამო ვერ შევხვდით ახალგაზრდა მასწავლებლებს ბეჟან ეგუტიძესა და თამარ ამყოლაძეს. ისინი ჩვენი რაიონის მკვიდრნი არ არიან. განაწილებით არიან მოსულნი. ბეჟანი მახაშის 8-წლიან სკოლაში ასწავლის, თამარი კი ლასურიაშის საშუალო სკოლაში.

—ჩვენ მომავლის საქართველოს ვზრდით,—ამაყად მითხრა დათომ,—პირველ რიგში სიმართლის სიყვარული უნდა ჩავუნერგოთ ბავშვებსო.

მე მწამს ამ სიტყვებისა, თქვენი აღზრდილები სიმართლის მოყვარულნი იქნებიან. მწამს, თქვენ თავისუფალი საქართველოს მართველებს დააარწევთ.

ბელა სალინაძე,

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

გაზეთი „სოფლის ცხოვრება“.



მოსკოვის ოლქი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის მწვანე საკვების გამოყვანა დაიწყეს კრასნოგორსკის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინსკი ლუჩში“. საკვების წარმოებისათვის იყენებენ ქერის მარცვალს, რომელიც გამოჰყავთ ქერის ბზეზე, მცირე ზომის ლანგრებზე.

ზრდის ციკლი სულ 8 დღეს მოიცავს. ამის შემდეგ მიღებულ მასას ფქვავენ და საკვებიც მზადაა.

სურათზე: სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრში მწვანე საკვებს ამზადებენ დასაფქვავად.

საკდესის ფოტოქრონიკა.

დახმარება მრავალშვილიან დედებს

დღეს ქართველ ერს არა აქვს სხვა უფრო სერიოზული საზრუნავი, ვიდრე დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება. ამიტომ მთელი რიგი ღონისძიებანი ხორციელდება მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად.

ამას წინათ გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებლის საზოგადოებამ დახმარება გაუწია სტიქიით დაზარალებულთა, ინვალიდთა, ავადმყოფი შვილების პატრონთა, ეკონომიკურად ძალიან გაჭირვებულთა და მრავალშვილიან დედათა ოჯახებს. მათ შორისაა ჩვენი რაიონიდან:

გურამ ალავიძის (8 შვილის მამა). ოჯახი სოფელ საირმიდან, რომელიც 1500 მანეთით დაჯილდოვდა.

უინვერ კვირკაშვილი (5 შვილის დედა) სოფელ ქვედა ცაგერიდან დაჯილდოვდა 1000 მანეთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლამდელი აღზრდის პრობლემები

✶

სკოლამდელი აღზრდა, რომელიც სახალხო განათლების სისტემის პირველ საფეხურს წარმოადგენს, მოწოდებულია ოჯახთან მჭიდრო კავშირში საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას. ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ ვითარდება მოზარდი სკოლამდელ დაწესებულებაში ფიზიკურად და გონებრივად, როგორ ხდება მისი შრომითი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა ასაკობრივი და ინდივიდუალური, ფსიქოფიზიოლოგიური თვისებების გათვალისწინებით.

სკოლამდელი დაწესებულებების, საბავშვო ბაღების წინაშე დასმული ამოცანების განხორციელება მოითხოვს საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას. შემოქმედებითი მუშაობა მოეთხოვება არა მარტო ამ დაწესებულების ხელმძღვანელს და ცალკეულ აღმზრდელს, არამედ მთელ პედაგოგიურ-შრომით კოლექტივს. აქედან გამომდინარე მიზნობრივად წარმართავენ თავიანთ საქმიანობას რაიონის სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკები.

საბავშვო ბაღებში მომუშავე აღმზრდელები გარკვეულ მუშაობას ატარებენ სკოლისათვის ბავშვის მოსამზადებლად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბაღიდან ბავშვი სკოლაში მიდის არა მარტო გარკვეული ცოდნით შეიარაღებული, არამედ ზნეობრივ-ნებელობითი თვისებების მფლობელი.

დასამალი არ არის, რომ ხშირ შემთხვევაში ბაღები ბავშვებს არასაკმარისად ამზადებენ სკოლისათვის და უმთავრესი ამოცანა—სკოლისათვის ბავშვის ფსიქოლოგიური მომზადება—ბევრ ბაღში შეუსრულებელი რჩება. ამას ვერ ვიტყვით ცაგერის №1 და №2 საბავშვო ბაღების, ქვედა ცაგერის ბაგა-ბაღის და ლასურიაშის საბავშვო ბაღებზე. აღნიშნული სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკები მთელ ძალისხმევას ახმარენ ბავშვთა აღზრდის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვას. ასეთთა რიგებში შეგვიძლია დავასახელოთ: ნ. სვანიძე, ც. სვანიძე, ი. ბობოხიძე, ც. მინდიაშვილი, ლ. ჩიქოვანი, რ. საღინაძე, ც. ლიპარტელიანი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის 14 სკოლამდელი დაწესებულებიდან მხოლოდ 4-ის დასახელება მაინცდამაინც არ მეტყველებს სკოლამდელი დაწესებულებების წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით განხორციელებაზე.

ყოველად მიუღებელ გარემო პირობებში უხდებათ აღზრდის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების განხორციელებისათვის ზრუნვა ლაილაშის, ლაჯანის, ჩხუტელის საბავშვო ბაღებს. არც თუ უკეთეს პირობებშია ზუბის, ტვიშის და ლუხვანოს სკოლამდელი დაწესებულებები. და თუკი ამას დავუმატებთ იმას, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში მომუშავეთა უმრავლესობა საშუალო განათლებითაა, საკითხი კომენტარს აღარ საჭიროებს.

განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტი მთელ ძალისხმევას და ყურადღებას უთმობს აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მეთოდურ დახმარებას.

პაწია ბაღში მოვიდა

ნაკლოვანებებია სკოლამდელი დაწესებულებების ინვენტარით, ავეჯითა და თვალსაჩინო სასწავლო მასალებით უზრუნველყოფის საქმეში. ხარვეზებია ბავშვთა კვების ორგანიზაციაში. ირღვევა დაწესებული ნორმისა და ასორტიმენტის შესაბამისად ბავშვთა კვება. კვების პროდუქტებით მომარაგებაში შეინიშნება ერთფეროვნება. ხშირია ახალი ბოსტნეულის და ხილის, რძისა და რძის ნაწარმის, ხორცის, თევზის არქონობის შემთხვევები. მოუგვარებელია ბაღებში კვების პროდუქტების შეზიდვის ორგანიზაცია.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო საბჭოები და კოლმეურნეობების გამგეობები საჭირო ყურადღებით არ ეკიდებიან სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების საქმეს.

საჭიროა მთლიანად გარდაიქმნას სკოლამდელ დაწესებულებებში აღმზრდელობითი მუშაობა და ბავშვთა კვება. ამ საქმეში დიდი მონდომება მართებთ ამ დაწესებულებების ხელმძღვანელებს, აღმზრდელ პედაგოგებს. საჭიროა მოწოდებულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ნორჩი თაობის სწავლისა და აღზრდისათვის ნორმალური პირობების შექმნას და უნდა მივაღწიოთ, რომ სკოლამდელთა აღზრდა დავაყენოთ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

ზ. ბურჯანაძე.

განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის სკოლამდელთა აღზრდის მეთოდისტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1990 წლის 29 მარტი, №305, მოსკოვი, კრემლი.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო შინაგანი და რკინიგზის ჯარების რიგებიდან ნამდვილი სამხედრო სამსახურის დადგენილი ვადის სამსახურმოხდილი სამხედრო მოსამსახურეების თადარიგში დათხოვნისა და 1990 წლის აპრილ-ივნისში ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა მორიგი გაწვევის შესახებ

„საყოველთაო სამხედრო მოვალეობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო **ადგენს:**

1. დათხოვნილ იქნენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო, შინაგანი და რკინიგზის ჯარების რიგებიდან თადარიგში 1990 წლის აპრილ-ივნისში ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებმაც მოიხადეს დადგენილი ვადის ნამდვილი სამხედრო სამსახური.

2. ამ დადგენილების 1-ელ პუნქტში აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეთა თადარიგში დათხოვნასთან დაკავშირებით გაწვეულ იქნენ ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში, სასაზღვრო, შინაგან და რკინიგზის ჯარების რიგებიდან თადარიგ-ივნისში მამრობითი სქესის მოქალაქენი, რომლებსაც გაწვევის დღისათვის უსრულდებათ 18 წელი, არა აქვთ ნამდვილ სამსახურში გაწვევის ვადის გადადების უფლება, ავრეთვე უფროსი გასაწვევი ასაკის მოქალაქენი, რომლებმაც დაკარგეს გაწვევის ვადის გადადების უფლება.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
სსრ კავშირის მინისტრთა

თავმჯდომარე ნ. რიჟკოვი.
საბჭოს საქმეთა მმართველი
მ. შაბარდნია.

სპეციალისტი ბვიურჩევს

ვ ა ზ ი ა რ დ ა ვ ა ჩ ა გ ვ რ ი ნ ო თ

გაზაფხულის დადგომისთანავე საჭიროა სპეციალისტების მიერ დათვალიერებულ იქნას ვენახები, რადგან თავს იჩენენ ისეთი მავნებლები, როგორიცაა აბლაბუდიანი, ნარინჯისფერი, მეგალე და კვირტის ტკიპები.

აბლაბუდიანი ტკიპა იკვებება კვირტებიკ, ფოთლებისა და ნორჩი ყლორტების უჯრედების პლაზმით და ქლოროფილის მარცვლებით. ტკიპებისაგან დაზიანებული ფოთოლი კარგავს სიმწიფესა და მოყვითალო მურა ან წითელ ფერს იღებს, ძლიერ დაზიანებული ფოთოლი დეფორმაციას განიცდის. ყლორტი ჭკნება, ხმება, ფუძესთან წვრილდება და მუხლში ადვილად ტყდება.

ნარინჯისფერი ტკიპა რაჭა-ლეჩხუმში 9-10 თაობას იძლევა. ვაზის ყველა მწვანე ორგანოს აზიანებს. დაზიანების გამო უჯრედების ზრდა-განვითარება ჩერდება. ფოთოლი დეფორმირდება, ყლორტზე მოყავისფროშავი ბზარები ჩნდება და ძლიერ დაზიანების შემთხვევაში ყლორტი ზრდას აჩერებს საერთოდ, ვაზი სუსტდება.

მეგალე ტკიპის დასახლების და წუწვნის შედეგად ფოთლის ქვედა მხარეზე ჩნდება მოთეთრო ქუჩისებური ფიფქიერი ნერიუმი, რომელიც ფოთლის ზედა მხარეზე წარმოშობს ამობურცულობას გალის სახით. სუსტი დაზიანების დროს გალები ფოთლებზე განაწილებულია ძარღვებს შორის, ძლიერი დაზიანებისას გალებით იფარება მთლიანი ფოთლები, ყუნწი და ყლორტები. ფოთლები განიცდიან დეფორმაციას, ჭკნობას და ხმობას. განსაკუთრებით საშიშია ახალგაზრდა ვაზის დაზიანება. მეგალე ტკიპები ზამთრობს ვაზის კვირტებში, გაზაფხულზე ფოთლების გაშლისთანავე მათზე სახლდება, წუწნის შედეგად აჩენს გალებს, რომლებშიც მიმდინარეობს ტკიპების კვება და გამრავლება. იძლევა 6-7 თაობას.

კვირტის ტკიპა— უკანასკნელ დრომდე ვაზზე კვირტების გაცდენის ერთ-ერთ მიზეზად წაყენებს ასახელებენ. გამოკვლევებით დადგინდა, რომ მევენახეობაში ამ ფართოდ გავრცელებული მოვლენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია კვირტის ტკიპა. კვირტის დაზიანების შედეგად ადგილი აქვს ვაზზე კვირტების ჩავარდნას, ფოთლების დაწვრილებას, დეფორმირებული ყლორტების წარმოქმნას, ტკიპა მთელ თავის სასიცოცხლო ციკლს კვირტებში ატარებს, წელიწადში იძლევა 8-9 თაობას. დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში კვირტების დაზიანების სიძლიერე ჯიშების მიხედვით 30-40 პროცენტს შორის მერყეობს.

ტკიპების წინააღმდეგ საჭიროა ჩავატაროთ როგორც აგროტექნიკური, ისე ქიმიური მეთოდით ბრძოლა. ადრე გაზაფხულზე ვაზი უნდა გაიფხიკოს (რადგან ამსკდარი ქერქის ქვეშ ზამთრობენ როგორც ტკიპები, ისე სხვა მავნებლები) და ანაფხეკი ქერქი დაიწვას. შტამბის ძირიდან ვაზს უნდა შეეცალოს ამონაყარი ყლორტები.

ქიმიური მეთოდით ბრძოლა უნდა ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ტკიპების რიცხობრიობა ჭარბობს მავნებლის ეკონომიკურ ზღვარს (ე. ი. დონეს, როცა პესტიციდის გამოყენებაზე გაწეული ხარჯები არ აღემატება მოსავლის ღირებულებას). საქართველოს საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის სექტორის შეფასებით დადგენილია ტკიპების ეკონომიკური ზღვარი, მისი კრიტიკული რიცხობრიობა. ტკიპების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების დროს სპეციალისტებმა უნდა დათვალიერონ ვენახები და მხოლოდ ის ნაკვეთები შეიწამლოს, რომელ ნაკვეთშიც ტკიპების კრიტიკული რიცხობრიობა საშუალოდ ერთ ფოთოლზე 7 ტკიპაა.

ტკიპების წინააღმდეგ ქიმიური მეთოდით ბრძოლა ყოველთვის უნდა იყოს მოსპობითი და აოა პროფილაქტიკური, რომელსაც ხშირად ატარებენ კოლმეურნეობებში მავნებლის ან აოსებობის ან მცირე რიცხობრივ დონეზე ერთგვარი „წინასწარი“ დაზღვევის მიზნით.

ქიმიური საშუალებებიდან რეკომენდებულია ერთი რომელიმე პრეპარატი: ფოზალონის, კელტანის, გალეკრონის, მილბექსის 0,3 პროცენტიანი, ფოსლამიდი ბი-58-ის 0,2 პროცენტიანი ემულსიის შესხურება.

პირველი წამლობა უნდა ჩატარდეს ყლორტზე 3-5 ფოთლის გამოჩენის პერიოდში, მეორე წამლობა—ყვავილობის დაწყებამდე, ხოლო მესამე წამლობა—დაყვავილებისთანავე, აღნიშნულ მესამე წამლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კვირტის და მეგალე ტკიპებისათვის, რადგან ამ პერიოდში ხდება ძათი მიგრაცია, ინტენსიური გამრავლება და რიცხობრივი ზრდა.

პრეპარატისადმი ტკიპების რეზისენტობის (გამძლეობის) საწინააღმდეგოდ რეკომენდებულია ქიმიურად განსხვავებული პრეპარატების შეთანწყობა. ასე მაგალითად, პირველ წამლობისას გამოიყენოთ ქლოროორგანული ნაერთი (კელტანი ან მილბექსი, ხოლო მეორე შესხურებისას—ფოსფოორორგანული აკარიციდი (ფოსფამიდი ან ფოზალონი).

ნანული შალამბერიძე.

საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის სექტორის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

სიმშვიდისა და თანხმობის სულისკვეთებით

საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეიქმნა ახალი მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაცია. იგი მოწოდებულია მხარი დაუჭიროს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს, დიდი ყურადღება დაუთმოს ადამიანთა აღზრდას მშვიდობისმოყვარეობის, თანხმობისა და შემწყნარებლობის სულისკვეთებით. პოლიტოლოგები ჩაატარებენ მეცნიერულ კვლევას საქართველოს სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის პრობლემებზე.

მომავალში განზრახულია აქტიური მონაწილეობა მივიღოთ სახალხო დიპლომატიის სხვადასხვა აქციებში და კავშირების გაფართოება სხვა ქვეყნების მშვიდობის მომხრეებთან, გაცვლა არა მარტო ოფიციალური დელეგაციების ფარგლებში, არამედ ახალგაზრდების, ოჯახებისა.

ქართველი ხალხის ისტორიული ტრადიციების გათვალისწინებით დასახულია მეგობრობის ახალი ხიდები გაიდოს ისრაელთან, საბერძნეთთან, არსებობს ამ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფართო პროგრამები, პრინციპული შეთანხმებანი თბილისსა და აშდოდში (ისრაელი) კულტურული ცენტრების შექმნის შესახებ. დაარსდა საქართველოსა და საბერძნეთს შორის კულტურული და ეკონომიკური კონტაქტების ხელშემწყობი ასოციაცია.

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალური ინტერვიუ

ფული ხელფასისათვის

თითქმის ყველა ჩვენგანი დარჩა განაწყენებული, როცა ხელფასის დღეს ორგანიზაციის სალაროს კარები დაკეტილი დახვდა. უკანასკნელ ხანს ასეთ სიტუაციაში რესპუბლიკის ბევრი საწარმოს მშრომელები აღმოჩნდნენ. მდგომარეობა არც წელს უმჯობესდება. და ეს მაშინ, როცა საკასო გეგმა უკვე სრულდება და სსრ კავშირის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკში ფულის ნიშნების საკმაო რაოდენობაა.

საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით ამ პრობლემას განმარტავს სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვლადიმერ პატეიშვილი:

—დიახ, ახლა საქმე ფიზიკურად ფულის ნიშნების უქონლობას როდი ეხება, როგორც ეს სულ ახლახან იყო. ვაჭრობაში თავისებური ბუმის შემდეგ, რომელიც გამოიწვია ეკონომიკაში მიმდინარე ნეგატიურმა პროცესებმა, ხმებმა თითქოსდა მომავალი ფულის რეფორმის შესახებ, დაიწყო ბანკში მოსახლეობის ფულადი სახსრების დენა. მაგრამ ახალ სამეურნეო პირობებში მარტო ეს ფაქტი საკმარისი არ არის. საწარმოებმა თვითონ უნდა გამოიმუშაონ ფული თავიანთი თანამშრომლებისათვის ხელფასის მისაცემად. თუ ეს არ მოხდება, მათი პირადი ანგარიში დაცარიელდება.

—ეს ხომ ყოველთვის ასე იყო...

—დიახ, ასე იყო. მაგრამ ამავე დროს არსებობდა ხელფასის დაკრედიტების პრაქტიკაც, როცა, თუ მას არ გამოიმუშავებდი, საწარმო ბანკის სესხს მიმართავდა ხელმე. მაგრამ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის შემდეგ ძირეულად შეიცვალა პირობები, მისი გაცემა.

—რა ძირეული ცვლილებები მოხდა?

—წინათ ხელფასისათვის სესხის მიცემის პროცესი მაქსიმალურად მარტივი იყო. ხშირად საკმარისი იყო ორგანიზაციის ხელმძღვანელს დაეწერა შესაბამისი განცხადება. ახლა საჭიროა რამდენიმე პირობის დაცვა. ჯერ ერთი, საწარმოს ასეთი სესხის მიღება მხოლოდ სამჯერ შეუძლია, მაშინ, როცა წინათ ეს შეზღუდული არ იყო. შემდეგ, მისი დაფარვის ვადა 30-დან 10 დღემდე შემცირდა. უფრო მკაცრი გახდა საჯარიმო სანქციები ვადაგასული მალსახდელისათვის.

—თქვენი აზრით, რა უშლის საწარმოებს ხელს გამოიმუშაონ სახსრები თავიანთ თანამშრომელთა ხელფასისათვის?

—ამის მიზეზი ბევრია. ძირითადად კი მიმაჩნია, რომ სამეურნეო ანგარიში ჯერ კიდევ ვერ გახდა რეალური, იგი მხოლოდ ფირნიშის მორიგი შეცვლაა. არავინ არ არის დაინტერესებული ხელფასით იმის გამო, რომ არა აქვთ საშუალება კარგად გამოიმუშაონ. ქაღალდზე დარჩა პრინციპი—ვინც კარგად მუშაობს, კარგ ხელფასსაც იღებს. სამაგიეროდ ძველებურად მოქმედებს გათანაბრება. მატერიალური დაინტერესება მარტო მუშებს კი არ უნდა ჰქონდეთ, არამედ საწარმოთა ხელმძღვანელებსაც. ის მდგომარეობა—რომ [illegible] ამწყობი, რა კვალიფიკაციისაც უნდა იყოს იგი, უფრო მეტს იღებს, ვიდრე ქარხნის დირექტორი, ძირშივე მცდარია. ესე იგი საჭიროა ხელფასის დიფერენცირებული სისტემა.

—მაგრამ ყოველივე ეს ხომ ქმნის უმუშევრობის წანამძღვრებს, რომლის არქონითაც ათეული წლები ვამაყობდით...

—ასეთი სისტემის დროს მასობრივი უმუშევრობის საშიშროება არ არსებობს. აი, მის პროფილაქტიკურ ნორმას—3-4 პროცენტს კი, რომელიც მიღებულია ყოველ აყვავებულ სახელმწიფოში, შესაძლოა, ადგილი ექნეს. ამ ადამიანებზე ვრცელდება სხვადასხვა სოციალური უზრუნველყოფის ფორმები, თვით დახმარების ჩათვლით. და, წარმოიდგინეთ, ეს სახელმწიფოს უფრო იაფი უჯდება, ვიდრე გამომუშავებული ხელფასის გადახდა.

საუბარს უძღვებოდა

ალა კოკაია

(საქინფორმის კორ).

სპორტი

ვემზადოთ მკლავჭიდისათვის

სპორტული შერკინებისა და ადამიანის შინაგანი ფიზიკური ძალის გამოვლენის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სანახაობაა შეჯიბრება მკლავის გადაძალვაში.

რაიონის სპორტულმა ორგანიზაციებმა გადავწყვიტეთ გამოვავლინოთ უძლიერესი მკლავის ძალის მქონენი ჩვენს რაიონში. შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მიეცემა რაიონის ნებისმიერ მცხოვრებს სურვილისამებრ. რაიონული პირველობა ჩატარდება 24 აპრილს, ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღეს, ქალაქის სპორტდარბაზში. შეჯიბრება დაიწყება 15 საათზე. დებულების მიხედვით შეჯიბრება წარიმართება სამ ასაკობრივ ჯგუფად, სასკოლო ასაკის, ორმოც წლამდე, ორმოც წელზე მეტი ასაკის მიხედვით. გამოვლინდება აბსოლუტური ჩემპიონი.

რაიონის სკოლების, წარმოება-დაწესებულებების სპორტის მესვეურებმა უნდა ჩაატარონ შიდასასკოლო და შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები და რაიონულ შეჯიბრებაზე წარმოადგინონ უძლიერესები.

გთხოვთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ შეჯიბრებებში.

დ. მუშკუდიანი,
ცაგერის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ბილოცავთ ახალგაზრდა ქორწინებულებს!

ნანა ბახვას ასულ კოკაიანს
გოგი აქვსენტის ძე გოლეთიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ოჯახის სიმტკიცეს, ულევ სიხარულს, მრავალი შვილის შეძენას.

ლამარა, ზაზა, გრიშა ჩიქოვანები.

გუგული, მურმან ჩაკვეტაძეებს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას, მისი გამრავლებით, ქართველ-ქალობით გახარებულიყოთ.

ლალი, ზურაბ ხელაძეები, როზა, თამაზ ჩაკვეტაძეები.

ნანა ბახვას ასულ კოკალიანს
გოგი აქვსენტის ძე გოლეთიანს

გილოცავთ ბედნიერებას. მარადიული სიყვარული და ერთგულება, შვილთა სიმრავლე ალამაზებდეს თქვენს სიცოცხლეს.

ნინო, ნანა, ზაზა ცვარიანები
სოფ. გვესო.

ბილოცავთ

ნონა ალექსანდრეს ასულ ყურაშვილს
ვლადიმერ ივანეს ძე ხეცურიანს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას.

ცაგერის №1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

ეთერ შაღვას ასულ ვასაძეს
შალვა ტარასის ძე თუთიანს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას.

ცაგერის №1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

ღიდა სარდიონის ასულ გოგოხიძეს!

გილოცავთ დაბადებიდან 60 წლის შესრულებას, გისურვებთ ჯანმრთელობას თქვენ მეუღლესთან და ერთგულ ადამიანებთან ერთად.

ლენა, ზინა, ნათელა, ლია, ზურაბი, ჯემალი მეშველიანები.

ღიდა სარდიონის ასულ გოგოხიძეს!

გილოცავთ დაბადებიდან 60 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს მეუღლესთან, ახლობლებთან და ყველა კეთილის მსურველებთან ერთად.

დარეჯან, ილარიონ გელოვანები, მზია, ჯუმბერ გაბისონიები ოჯახებით.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

რაიონის სახდაზღვევის ინსპექციაში ტარდება დოკუმენტური რევიზია. მოქალაქეებს ვთხოვთ მათთვის საინტერესო საკითხებზე მიმართონ სარევიზიო ბრიგადას.

მისამართი: ცაგერი, ლენინის ქუჩა №54.

საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

ცაგერირაიგაზის სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლამზირა და შურმან ყურაშვილებს მამისა და სიმამრის

შალვა მდივნის

გარდაცვალების გამო.

შალვა ყურაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

შალვა ლევანის ძე მდივანი.

მეუღლე მარგალიტა, შვილები ანზორი, გიზო, ნიურა, იზოლდა, ლამზირა, რძლები მედიკო, ლუიზა, სიძეები რამაზი, შურმანი, შვილიშვილები გოგი, მარინე, ზაირა, ნაირა, ნათია, ზვიადი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა ლევანის ძე მდივანი.

დაკრძალვა 7 აპრილს, შაბათს. ქ. ცაგერში.

შვილები ქუქუნა, რეზო, რძლები სულიკო ფრუიძე, ლია ფხაკაძე, ნათელა სილაგაძე, სიძეები შიო ფრუიძე, გურგენ ლარცულიანი, მული პელო, მაზლისშვილი ლილი, შვილიშვილები შუქრი, ჯაბა, ბესიკი, მინდია, შვილთაშვილები თემური, სულხანი, მულისშვილები, მაზლისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანიჩკა სოხაძე-ჯანაძე.

დაკრძალვა 7 აპრილს, შაბათს სოფ. ალპანაში.

შვილები ქუქუნა, ნუნუ, ლილი, ვენერა, სიძეები გრიშა ბენდელიანი, ჟორა ჩაკვეტაძე, ბორის ბაღათურია, შვილიშვილები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვასო გიგოს ძე თუთიანი

დაკრძალვა 7 აპრილს, შაბათს, სოფ. ჩქუმში.

ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივი თანაუგრძნობს გუჯუ მეშველიანს დედის

ფედოსი მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible], განყოფილებების: ხოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-25, გაზეთი გამოდის ხამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66589, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.